№66 2016 წლის 18 იანვარი ქ. თბილისი

ა(ა)იპ – ალაშასათვის შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების უსასყიდლო უზუფრუქტისა და მოძრავი ქონების თხოვების ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს, ა(ა)იპ – ალაშას (ს/ნ: 405121826), უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით, აუქციონის გარეშე, 3 წლის ვადით გადასცეს ამ განკარგულების დანართ №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონება (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.18.03.009.001) და თხოვების უფლებით, 3 წლის ვადით გადასცეს ამ განკარგულების დანართ №2-ით გათვალისწინებული მოძრავი ქონება.

2. ამ განკარგულების შესრულების მიზნით, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**

საქართველოს მთავრობის
2016 წლის 18 იანვრის
№66 განკარგულების

დანართი №1

№	**უსასყიდლო უზუფრუქტით გადასაცემი უძრავი ქონება**	**საკადასტრო კოდი**
	თბილისი, სანაპიროს ქუჩა №4-ის შენობა-ნაგებობა №2-ის მესამე სართულზე არსებული 141.93 კვ. მ და 6.99 კვ. მ ფართი	01.18.03.009.001

დანართი №2

№	თხოვების ფორმით გადასაცემი მოძრავი ქონება	რაოდენობა
1	პროცესორი	1 კომპ.
	მონიტორი	
	უწყვეტი კვების წყარო	
2	პროცესორი	1 კომპ.
	მონიტორი	
	უწყვეტი კვების წყარო	
3	პროცესორი	1 კომპ.
	მონიტორი	
	უწყვეტი კვების წყარო	
4	ტყავის დივანი სამადგილიანი	1 ც.
5	კონდიციონერი	5 ც.
6	საოფისე მაგიდა	3 ც.
7	საოფისე სკამი ნაჭრის	10 ც.
8	ტყავის გორგოლაჭებიანი სავარძელი	3 ც.